

საქართველოს ეროვნული არქივი

ყოველწლიური ანგარიში

2014

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია:

- 5 მილიონამდე წერილობითი დოკუმენტი
- 438 512 ფოტოდოკუმენტი
- 19 355 ფონოდოკუმენტი
- 34 819 კინოდოკუმენტი

ახალი პროექტები

2014 წელს ეროვნულ არქივში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო:

თანამედროვე ავტორების აუდიო და ვიდეოჩანაწერები

მიმდინარეობს თანამედროვე ავტორებისა და საზოგადო მოღვაწეების აუდიო და ვიდეოჩანაწერების შექმნა. ამ ეტაპზე ეროვნული არქივის ფონდებს შეემატა თამაზ კვაჭანტირაძის, მარიკა ლორთქიფანიძის, ვახტანგ ჯავახაძის, ამირან გეწაძის, ლია სტურუას ჩანაწერები.

„ერთი ფილმის ისტორია“

ხორციელდება ვიდეოპროექტი „ერთი ფილმის ისტორია“. დოკუმენტური ჩანახატები ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავის“, მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველის“, რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამის“ და ნანა მჭედლიძის „იმერული ესკიზების“ შესახებ უკვე ინახება ეროვნული არქივის კინოსაცავში, ასევე ხელმისაწვდომია სოციალური მედიის საშუალებით.

„ზღაპრების აუდიობიბლიოთეკა“

დაიწყო ბავშვებისთვის შექმნილი პროექტი „ზღაპრების აუდიობიბლიოთეკა“, რომლის ფარგლებშიც უკვე გამოქვეყნებულია ქართული, გერმანული, სლოვაკური, ჩეხური, ინდონეზიური და პოლონური ზღაპრები. ციფრულ მატარებელზე გადაწერილი მასალა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე https://soundcloud.com/#audio-archives-of-georgia, ეროვნული არქივის ოფიციალურ გვერდზე http://archives.gov.ge/ge/Msoplio_Khalkhta_Zgaprebi და სოციალურ ქსელში https://www.facebook.com/GeorgianTales.

„აუდიოწიგნები“

ეროვნულ არქივში დაცულ მასალებზე უფასო ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განხორციელდა პროექტი „აუდიოწიგნები“. ვებგვერდებზე http://archives.gov.ge/ge/audiotsignebi, www.soundcloud.com და სოციალურ ქსელში https://www.facebook.com/AudioBooksGeorgia?ref=hl 18 ქართველი მწერლის 53 ლიტერატურული ნაწარმოების აუდიოვერსია განთავსდა.

„ელექტრონული კარტოგრაფია“

გასულ წელს დაწყებული პროექტის „ელექტრონული კარტოგრაფია“ ფარგლებში XVIII–XX საუკუნეებში შექმნილი კავკასიის რუკების ელექტრონული ასლები, დეტალურ ანოტაციებთან ერთად, ინტერნეტსივრცეში განთავსდა. მაღალი რეზოლუციით შექმნილი ასლები ხელმისაწვდომია ეროვნული არქივის ოფიციალურ ვებგვერდზე http://archives.gov.ge/ge/kavkasiis-rukebi და საიტზე https://www.flickr.com/photos/national_archives_of_georgia.

ხელნაწერების ანალიტიკური კატალოგი

დაიწყო მუშაობა ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერებისთვის ახალი ანალიტიკური კატალოგის მოსამზადებლად. პროექტის პირველ ეტაპზე 100–მდე ხელნაწერის ამომწურავი აღწერილობაა შედგენილი და ისინი კატალოგში ეტაპობრივად განთავსდება.

ახალი პროექტები

თანამშრომლობა საარქივო პორტალის ევროპულ ქსელთან (APEx)

ევროპულ არქივებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით საარქივო პორტალის ევროპული ქსელის (APEx) ვებგვერდზე განთავსდა ინფორმაცია ეროვნული არქივის საქმიანობის შესახებ და დაიწყო არქივში დაცული მასალის ატვირთვა.



„კვირის დოკუმენტი“

ეროვნულ არქივში დაცული მრავალფეროვანი მასალის პოპულარიზაციისთვის დაიწყო პროექტი „კვირის დოკუმენტი“, რომლის ფარგლებშიც ყოველ ოთხშაბათს გამოქვეყნდება საარქივო ფონდებში დაცული წერილობითი, ფოტო, აუდიო ან კინომასალა. დოკუმენტების გაცნობა შესაძლებელია როგორც ეროვნული არქივის ვებგვერდზე http://archives.gov.ge/ge/kviris-dokumenti, ისე სოციალურ ქსელში https://www.facebook.com/NationalArchivesofGeorgia.

მოქალაქეთა მომსახურება

- ეროვნული არქივის საინფორმაციო-საცნობარო მომსახურებით წელს 66 400-მდე მოქალაქემ ისარგებლა. ეროვნულ არქივში დაცული მასალებიდან ყველაზე მოთხოვნადი იყო: დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების, განათლების, სამუშაო სტაჟის, ქონებრივი უფლების დამადასტურებელი, გენეალოგიური და ბიოგრაფიული ხასიათის ცნობები;

- ცენტრალური არქივების მკვლევართა დარბაზებში 1450 მკვლევარმა იმუშავა, მათ შორის 95 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო.

დიგიტალიზაცია

ეროვნულ არქივში მიმდინარეობს დოკუმენტების დიგიტალიზაცია, რაც მკვლევარებისთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის ცენტრალურ არქივებში დაცულ მასალას. ერთი წლის განმავლობაში ციფრულ მატარებელზე გადავიდა:

- 832 000 გვერდი
- 4 473 ფოტონეგატივი და 1 827 პოზიტივი
- 304 კინოდოკუმენტი (320 საათი, 40 წუთი) და 333 ფონოდოკუმენტი (112 საათი)
- 1 738 შენობა-ნაგებობების დიდფორმატიანი ნახაზი
- 5 000-მდე კარტოგრაფიული დოკუმენტი

რესტავრაცია

განახლდა დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორია, რომელიც თანამედროვე სტანდარტების აპარატურით, ინვენტარითა და ქიმიური ჭურჭლით აღიჭურვა;

- რესტავრაცია ჩაუტარდა:
  27 778 ფურცელს
  126 ეტრატს
  616 ფოტოს
  26 წიგნს
  144 გაზეთს
  48 რუკას
  92 ტექნიკურ ნახაზს

მათ შორის:

- XIV საუკუნის ჟამნგულანი (საღვთისმსახურო წესების კრებული);
- 1706 წლის გულანი (საეკლესიო კრებული);
- გიორგი XII-ისა და იულონ ბატონიშვილის მიერ გაცემული წყალობის სიგელები (XVIII საუკუნე);
- დიმიტრი ერმაკოვის მიერ XIX საუკუნის ბოლოს გადაღებული საქართველოს სამხედრო გზისა და 1914-17 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ამსახველი ფოტოალბომები;
- XIX-XX საუკუნეების კავკასიის რუკები.
- დოკუმენტების დიგიტალიზაციის პროექტის ფარგლებში დასასკანერებლად მომზადდა, ხელახლა აიკინძა და ყდაში ჩაისვა 761 საქმე.

ფონდების გამდიდრება

ეროვნულ საარქივო ფონდს შეემატა:

- 17 756 საქმეში გაერთიანებული წერილობითი დოკუმენტი
- 300-მდე ფოტო
- 465 კინოფირი

მათ შორის:

- მწერლისა და ჟურნალისტის, ნანა კანდელაკის პირადი ფონდი;
- 1970-80-იან წლებში საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა რედაქციის მიერ მომზადებულ ტელეგადაცემებში მონაწილე მსახიობების, მხატვრების, ლიტერატორების ფოტოები;
- ფოტოები 1950-80 წლებში გადაღებული კინოფილმების გადასაღები მოედნებიდან;
- თამაზ კვაჭანტირაძისა და მარიკა ლორთქიფანიძის საოჯახო და მათი საქმიანობის ამსახველი ფოტოების ელექტრონული ვერსიები;

- მხატვრული ფილმის „იავნანა“ კინოფირის სამი ასლი, რომელიც თავად რეჟისორმა, ნანა ჯანელიძემ გადასცა ეროვნულ არქივს;
- გიორგი და ელდარ შენგელაიების მიერ გადაღებული მხატვრული ფილმების: „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „შერეკილები“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ფიროსმანი“ – კინოფირების ასლები;
- მხატვარ ზაალ სულაკაურის 45 ნახატი და სხვა.

საერთაშორისო თანამშრომლობა

- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა არქივმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა თურქეთისა და ბოსნია და ჰერცოგოვინას ფედერაციის სახელმწიფო არქივებთან, რომლის ფარგლებშიც მოხდება საარქივო დოკუმენტების ასლების გაცვლა, ციფრული და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა, დოკუმენტების რესტავრაციის სფეროში გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი პროექტებისა და გამოფენების ორგანიზება;

- ეროვნულ არქივს ესტუმრნენ ბელგიის სოციალური ისტორიის ინსტიტუტის წარმომადგენლები და ბელგიელი ძმები მიულსების შთამომავლები, რომლებიც ჭიათურაში ძმები მიულსების სამრეწველო საქმიანობის ამსახველ ფოტოგამოფენას დაესწრნენ;

- მომავალი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, პოლონეთის სახელმწიფო არქივის გენერალური დირექტორი ვლადისლავ სტეპნიაკი და მისი მოადგილე ანჯეი ბიერნატი ეროვნულ არქივს ეწვივნენ;

- ეროვნულ არქივში დაცული კულტურფილმები აშშ-ს ქართული ფილმების რეტროსპექტივაზე – ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში აჩვენეს.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება

- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ეროვნული არქივის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებში: „ადამიანები და წიგნები: მიკროორგანიზმებიდან მეგაორგანიზმებამდე“, „უდიდესი ომი. ანალიზი და ინტერპრეტაცია“, „საარქივო საქმის აქტუალური პრობლემები თანამედროვეობაში“;

APEx

- ეროვნული არქივის დელეგაცია დაესწრო საარქივო პორტალის ევროპული ქსელის (APEx) წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრას, რომლის მიზანიც APEx-ის საიტზე საარქივო მასალების განთავსების პრინციპების გაცნობა იყო.

სტაჟირება და ტრენინგი

- ეროვნულ არქივში სტაჟირება გაიარა 42-მა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა;

- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ეროვნულ არქივში ტრენინგი გაიარეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მისი სისტემის დაწესებულების არქივებისა და საქმისწარმოების სამსახურების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებების, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიისა და ათხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი დაწესებულებების არქივებისა და საქმისწარმოების სამსახურების 120-მა თანამშრომელმა, ასევე 12-მა ფიზიკურმა პირმა;

სტაჟირება და ტრენინგი

- ❖ ერთვნულ არქივს ეწვივნენ ქალაქ ლუბლინის მარია სკლოდოვსკა – კიურის სახელობის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, ასევე ამერიკული საბჭოების „ისწავლე უცხოეთში“ პროგრამის ეგიდით საქართველოში მყოფი 10 ამერიკელი სტუდენტი.

- ❖ საარქივო საქმისა და საქმისწარმოების დარგში პრაქტიკები გაიარეს:

  - ✓ შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის სტუდენტებმა;
  - ✓ შპს წმიდა ილია მართლის სახელობის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის სტუდენტებმა;
  - ✓ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონის“ სტუდენტებმა;
  - ✓ შპს მრავალდარგოვანი კოლეჯ „მედიკ-ფორტეს“ სტუდენტებმა.

გამოფენები

ეროვნულ არქივში მოეწყო გამოფენები:

- ❖ ნიკო ნიკოლაძე – 170 ქალაქ ფოთში;
- ❖ ფოტოგრაფ ნიკოლოზ სალარაძის კოლექციის მინის ნეგატივებზე დაცული ფოტოების გამოფენა;

- ❖ 9 ივნისი – არქივების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა;
- ❖ ფოტოგამოფენა „მიულსების ქართული ისტორია“;
- ❖ ფოტოგამოფენა „რაჭა“ ქალაქ ამბროლაურში;

- ❖ ფოტოგამოფენა „ღვინობისთვე“ სოფელ შაშიანში;
- ❖ მეცნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, IX საუკუნის „ანბანდიდი სახარების“ გამოფენა მხოლოდ ერთი დღით, ასევე ხელნაწერთა ანალიტიკური კატალოგის პროექტის პრეზენტაცია.



გამოცემები

ეროვნულ არქივში დაცული მასალების გამოყენებით მომზადდა გამოცემები:



- „იოსებ მამაცაშვილი, მოგონებები /1921 წლის თებერვალი–მარტი/“;
- „ქალაქ თბილისის თვითმმართველობა“.

სხვა სიახლეები

- შეიქმნა ეროვნული არქივის ახალი ვებგვერდი. ორგანიზაციის შესახებ დეტალური ინფორმაციისა და სიახლეების გარდა, ის მოიცავს ეროვნული არქივის სერვისების აღწერას, საარქივო დოკუმენტების კატალოგებსა და კოლექციებს. აქვეა ინფორმაცია მიმდინარე პროექტების, გამოფენების შესახებ, წარმოდგენილია სხვადასხვა გამოცემის ელექტრონული ვერსია და ა.შ. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად განახლებადია;
- თანამშრომლობის გაღრმავებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, ეროვნულმა არქივმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა ხმისჩამწერ სტუდია „სანო რეკორდსთან“, კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ საagენტოსთან და ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრთან.

საქართველოს Ministry of
იუსტიციის Justice of
სამინისტრო Georgia

www.justice.gov.ge

საქართველოს ეროვნული არქივი
National Archives of Georgia

www.archives.gov.ge